ეროვნული ბიბლიოთეკა

**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |



# ივერია

№ 43 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 43


**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

---


გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალატი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად სცენიური წესდებით 1864 წლის ძალით აკრძალულია.**


# 1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

გამოდის იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**5** მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში**:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

**ქუთაისში**:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათუმში**:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების საგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საჩხერეში**:—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში**:—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში**:—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში**:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი**: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

---


**როინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იხსნება ახლად

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით, ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ტაძრებისა, ციხეებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**


---

№ 1 ტელეფონი № 617.

## ქართული თეატრი

კვირას, 22 თებერვალს 1904 წ.

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება თავ. ალექს. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა

## ლალატი

ისტორიული ლეგენდა-დრამა 5 მოქ. ქართველთა ცხოვრებიდან, თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ნ. დავითაშვილი, ბ. რონელი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ... გუნია, ... ყიფიანი, კ. შათირიშვილი, ს. სვიმონიძე, ვ. შალიკაშვილი, ნ. გვარაძე, დ. ბაქრაძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად ახალი პიესები: „საქმის კაცი“, „სხვის ნაოხარზე“, „ცხოვრების გარეშე“ „ექიმი შტოკმანი“, „დარღვეული კერა“ და სხვ.

ამხანაგობის გამგე ვალ. გუნია

---

**ექიმთა, ადვოკატთა და სხვა ხელობის პირთა საყურადღებოდ.**

„ივერიის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ საზოგადოების მოთხოვნილებისა გამო, საჭიროდ სცნო ჰბეჭდოს ხოლმე ამა თუ იმ ხელობის კაცთა ადრესები. ამიტომ, აარსებს რა გაზეთ „ივერიაში“ ამგვარ განყოფილებას, აუწყებს მსურველთ, რომ მათ ყოველ-დღე შეუძლიანთ,—დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, მიჰმართონ რედაქციას და შეატყობინონ თავიანთი ხელობა და ადრესი. თითო ადრესის ბეჭდვა ამ წლის განმავლობაში ეღირება მხოლოდ **ხუთი მანეთი** (5 მან.).

---


ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**ხუთშაბათს, 19 თებერვალს 1904 წ.**

საიმპერ. თეატრის არტისტკას მ. ა. დუბროვსკაიას, ქ-ნ ე. ფ. ბობროვა-პფეიფერისა, საიმპერატ. თეატრის არტისტკას მ. პ. ტურჩანინოვას, საიმპერატ. თეატრის არტისტების ა. მ. დავიდოვისა და დ. ი. ბუხტოიაროვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ჰუგენოტები

ოპერა 4 მოქ., მუსიკა მეიერბერისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: დუბროვსკაია, ბობროვა-პფეიფერი, ტურჩანინოვისა, ლელინა, ფედოროვისა; ბ-ნნი: დავიდოვი, ილიუშჩენკო, გლადკოვი, შმაკოვი, ბუხტოიაროვი, ფედოროვი, რჟანოვი, გავრილოვი, უსისკინი.

რეჟისორი ა. დ. ბელსკი.

კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო.

დასაწყისი საღამოს 8 საათ.

**ანონსი**: პარასკევს, 20 თებერვალს, ქ-ნ ბობროვა-პფეიფერისა, ბ-ნთ კარჟევინისა და კამიონსკის მონაწილეობით, წარმოდგ. იქნება «რიგოლეტო», ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ვერდისა. შაბათს, 21 თებერვალს, წარმ. იქნება «ლაკმე», ოპერა 3 მოქმ., მუსიკა დელიბასი.


---

გურიის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის „შუამავალის“ გამგეობა ამით აცნობებს პატივცემულ წევრთ, რომ ამა თვის 15-ს დანიშნული კრება არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო. ამიტომ კრება გადაიდო 22 თებერვლისათვის, ნაშუადღევის სამ საათზე, რომლის დადგენილებაც კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (1—6—1)

---


გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანათი.


---


## ექიმი

## ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ჟორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**მ. ი. ჟიჟინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ლ. ი. კამოევი.** საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ვ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. მ. სოკოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**მ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აპეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა,

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 8½—8 ს.

**ს. ტ. არშანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.


---

# ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

რუსეთის მტერ-მოყვარენი.—რუსეთის ფლოტის გაუგზავნელობის მიზეზი.—იაპონიის ტელეგრაფი.—გემ-ქარხნები ინგლისში.—ჩინეთის ნეიტრალიტეტის მიზეზი.—რუსეთი და ინგლისი თიბეთში.—წვრილი ამბები.—გაზეთ «კავკაზის» დეპეშები.

ვინ არის ჩვენი მტერი და ვინ არის მოყვარე»!—კითხულობს «ნოვ. ვრემია»-ს რედაქტორი და თითონვე პასუხს იძლევა: ჩვენი მტერია მთლად კაცობრიობა. ასეთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, თუ რომ უცხოელთა გაზეთებს დავუჯერებთ. გაზეთები მოქმედებენ საზოგადოებაზე და საზოგადო აზრსა ჰქმნიან. პარლამენტი და მთავრობა საზოგადო აზრსა და მოთხოვნილებას მისდევს. უფრო ხშირად თამამად და ნიჭიერად ჰყვირიან რადიკალთა დასი და რადიკალთა მწერლობა. იმათ ბანს აძლევს ქუჩის მწერლობაც... მაგრამ ყოველ სახელმწიფოში თითო-ოროლა გაზეთს ვიპოვით, რომელიც რუსეთის მომხრეა. ესენი არიან კეთილგონიერნი. საფრანგეთსა და გერმანიაში ამ გაზეთებს ყურსაც არ ათხოვებენ.

ერები? ხალხი რა აზრისაა?

ვინ იცის, რას ჰფიქრობენ ერები. ისინი პირმოკუმული შრომობენ ლუკმა-პურისათვის და პოლიტიკისათვის არა სცხელათ. მე მხოლოდ ერთი ერი მინახავს, რომელიც ნამდვილად თანაგვიგრძნობდა,—განაგრძობს ა. სუვორინი,—გაზეთების ხალხი-კი არა, არამედ ნამდვილი ერი. ეს იყო იმ ღირს-სახსოვარ დროს, როდესაც ჩვენი მეზღვაურნი ტულონს, პარიჟს, ლიონსა და მარსელს ეწვივნენ. რამდენიმე დღე (5—12 ოქტომბერი, 1893 წ.) პარიჟი თანაგრძნობის ღაღადად გადაიქცა, თითქო ორი ერი ძმურად, გულმხურვალედ მოეპყრო ერთმანეთს. პროვინციაც ასი ათასობით მიაწყდა პარიჟს. დილით საღამომდე ალტაცებისა და თანაგრძნობის ხმები ისმოდა, როდესაც-კი მეზღვაურნი გამოჩნდებოდნენ...

განვლო დრომ... გარემოება შეიცვალა. შეიცვალა დამოკიდებულება საფრანგეთისა თვის მტრისადმი, რომელმაც ორი პროვინცია წაართვა. რამდენჯერმე იმაზედაც-კი ალიძრა ლაპარაკი, რომ ორთავენი მორიგებულიყვნენ სამუდამოდ, დაეთმოთ რამე ერთმანეთისათვის. უმწვერვალესნი დასნი საფრანგეთისა და გერმანიისა ერთმანეთს ხელს ართმევდნენ სოციალურ რევოლიუციის ნიადაგზედ. მას შემდეგ ჩვენი მოკავშირე ინგლისსაც დაუახლოვდა და თითქო იდუმალი ხელშეკრულობაც დაუდვიათ. რუსეთ-საფრანგეთის მეგობრობა განელდა და რუსეთს მკლავთან აეტუზა გერმანია, რომელიც მტრულის თვალით ინგლისს გასცქეროდა.

ოთხი სახელმწიფო—რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი და ინგლისი—რაღაც გამოურკვეველ დამოკიდებულებაში იყო. ყველანი თითქო ისეთ გარემოებას ელოდნენ, რომელმაც მათი ურთიერთობა უნდა გამოარკვიოს. იქნება ამ სახელმწიფოთა დიპლომატიამ სწორედ იმიტომ ვერ აიცილა ეხლანდელი ომი, რომ ერთმანეთთან პირნათლად ვერ იყვნენ, მეგობრულად ვერ მოქმედებდნენ...

—

ადმირალ ვირენიუსის ესკადრა, რომელიც შორეულ აღმოსავლეთისაკენ გაიგზავნა, უკან მოდის. ეტყობა, რუსეთის საზღვაო სამინისტროს შესაძლოდ არ უცვნია სამხედრო გემების გაგზავნა, რომ პორტ-არტურის ფლოტს მიეშველოს. თუმცა შავსა და ბალტიის ზღვაზე ძლიერი ესკადრები გვყავს და, ამას ვირენიუსის ესკადრაც რომ დავუმატოთ, საკმარისი იქმნებოდაო,—ამბობს «რუს. ვედ».,—მაგრამ სამჯობინოა შევიცადოთ, ვიდრე ახალი გემებიც არ დასრულდებაო. ჩვენ არ გვაფიქრებს საერთაშორისო დამოკიდებულების გამწვავება ევროპაში და მხოლოდ ამ მოსაზრებით-კი არ ვაგვიანებთ ბალტიის ზღვიდგან ესკადრის გამოყვანას, აქ ჯერ ჯერობით არაფრისა გვერიდება. გერმანია ამ ჟამად ხელს არ გამოიღებს. შვეცია სუსტია და ჩვენზე ვერ გამოილაშქრებს. ამასთანავე, ჩვენი ნაპირები ისე გამაგრებული გვაქვს, რომ ბალტიის ზღვით ვერავინ შემოგვივაო. ერთად ერთი ჩვენთვის საშიში მტერი ინგლისია, რომელიც ისე აუარებელ გემებს შემორეკავს ბალტიის ზღვაზე, რომ ჩვენი ფლოტი კრონშტადტს უნდა ამოეფაროსო. მაშასადამე,

ბალტიის ზღვაზე ჩვენი ფლოტი უქმადა სდგას და მისი გაგზავნა ჩვენთვის არაფერს შეადგენსო. ჩვენს ფლოტს უმთავრესად ქვა-ნახშირის უქონლობა აბრკოლებს და, ვიდრე ამ მხრივ უზრუნველ-ყოფილი არ იქნება ბალტიის ზღვიდგან შორეულ აღმოსავლეთამდე, მისი დაძვრა ადგილიდგან მოუხერხებელიაო.

—

ვლადივოსტოკიდგან კორეამდე ზღვაში გაყვანილი სადეპეშო კაბელი გაწყვეტილია. იაპონელებს-კი ცნობები მისდის რუსეთიდგან. რა გზით? «მოსკოვის უწყება» დარწმუნებულია, რომ ამ შემთხვევაში იაპონელებს სამსახურს უწევს ინგლის-ინდოეთის ტელეგრაფი, რომელიც, სხვათა შორის, რუსეთის მიწა-წყალზედაც არის გაჭიმული (ამიერ-კავკასიაშიაც). ამ ტელეგრაფის კონცესია რუსეთის მთავრობას მიუცია სიმენსის კომპანიისათვის და ამ ფირმას ინგლისისათვის დაუთმია. ვადა კონცესიისა გადიოდა 1905 წელს, ხოლო კამპანიას მოუხერხებია ამ ვადის გაგრძელება 1925 წლამდე.

კონცესიაში ნათქვამია, თუ რომ საერთაშორისო საქმეებში რუსეთს უთანხმოება აუტყდება, ინდო-ევროპის ტელეგრაფი რუსეთის სამფლობელოში რუსეთის მთავრობას უნდა გადაეცესო.

ამაზედ მეტი უთანხმოება რაღა იქნებაო,—ამბობს მოსკოვის გაზეთი,—დროა ჩამოვართვათ ეს ტელეგრაფი, რომ პოლიტიკური ჯაშუშობა მოისპოს და ცნობები არ იგზავნებოდეს რუსეთიდგან ინგლისს და იქიდგან იაპონიაშიო.

—

ცნობები მოდის, რომ ხუნხუზები იშლებიან რუსეთის წინააღმდეგ. ამის გამო «რუს. ინვ.» ამბობს, საჭიროა ჩვენი რკინის გზის მატარებლები შეიარაღებული იყოსო. აქამომდე თოფ-იარაღი ცალკე მიჰქონდათ და ჯარის კაცები უიარაღოდ ისხდნენ ვაგონებში. ეს წესი უნდა შეიცვალოს და ქალაქ ჩიტიდგან დაწყებული ყოველ ვაგონში ყუთი იყოს პატრონებით და, თუ მატარებელს ხუნხუზები დაეცნენ, მაშინვე შესაფერი პასუხი გასცენ, თორემ, როდესაც ხუნხუზები ტყვიას დაუშენენ ჩვენს ჯარის კაცებს, მაშინ რბენა და პატრონების ძებნა გვიანდააო.

—

ინგლისის ქარხნები და თოფხანები დღე და ღამ ამზადებენ გემებსა და იარაღს; კვირა დღესაც-კი არ ისვენებენ. ორი ძველი კრეისერი ქარხნებად გადაუკეთებიათ და ისე უნდა მოაწყონ, როგორც ეხლანდელი საზღვაო და სამხედრო ტეხნიკა მოითხოვს. ამრიგად, დაზიანებულ გემების შესწორება ზღვაზედაც შეიძლება. ყოველ ესკადრას თან ამისთანა გემ-ქარხანას მიაყოლებენ. ეს ორი გემი 5 მარტისთვის მზად იქნება.

—

ჩინეთს ნეიტრალიტეტის გამოცხადება ეძნელებოდა თურმე. ბევრს უნდოდა ჩინეთს პირდაპირ ომი გამოეცხადებინა რუსეთისათვის და იაპონიასთან ერთად ემოქმედნა. მაგრამ იაპონიამ მოსთხოვა უთუოდ ნეიტრალიტეტი დაეცვა და ჩინეთის მთავრობაც უნებურად დასთანხმდა. ომის მომხრე ყოფილან ვიცე-კოროლებიცა და პეკინის მთავრობაც. იაპონიას სასარგებლოდ დაუნახავს, რომ ჩინეთი სულაც არ გაერიოს ომში, მაგრამ თავის სამფლობელო გაამაგროს და წესიერება დაიცვას. ჩინეთის მთავრობას მართლა ეძნელება თავის ხალხის დამშვიდება და ავაზაკთა ბრბოების მოსპობა ომის ველის ახლომახლო. ჩინეთი ამისათვის ჰგზავნის თავის ჯარს ჩრდილოეთისკენ და არა იმიტომ, რომ ომში ჩაერიოსო, ამბობს გაზ. «პოსტ».

ეგრე-კია?—ეჭვითა კითხულობს «ნოვ. ვრ.»—თუ რომ იაპონიასთან ხელშეკრულობა არა აქვს ჩინეთს, საიდუმლოდ ხომ ხელს უწყობენ ხუნხუზებს იაპონიის ფულითო?

—

**რუსეთი და ინგლის თიბეთში.** გაზეთი «ნევე ციურიხ. ცეიტ» ამბობს, ინგლისი ხომ დიდი ხანია ინდოეთის პატრონია, მაგრამ აქამომდე ვერც ერთ მეზობელ ხალხის გული ვერ მოიგო და ვერ დაიმეგობრაო. ყველას ძალიანა სძულს ინგლისელები და სიხარულს დაეწევიან, თუ რომ როგორმე მათგან თავი იხსნეს. თავს არ დაზოგავენ და გაბედავენ კიდეც იარაღით შეებრძოლონ, თუ რომ ისეთის ძლიერ მომხრეს იმედი ექმნებათ, როგორიც რუსეთია. ინგლისს მეტად შეაშფოთებდა რუსეთის მტრობა, თუ რომ შეეძლოს ჯარი შეიყვანოს არამც თუ ინდოეთში არამედ თიბეთსა და ავღანისტანში მაინც. ინგლისს ტყუილადა ჰგონია, რომ რუსეთი მთელს თავის ძალ-ღონეს იაპონიას შეალევს და ინგლისს ვეღარ გაუსწორდება. რუსეთს აუარებელი ძალა აქვს. რუსეთს შეუძლიან 61 ათასი აფიცერი და 3,592,000 ჯარის კაცი გამოიყვანოს საომრად და, თუმცა იაპონიას ეომება, რომელსაც მხოლოდ 569,000 ჯარის-კაცი ჰყავს, ინგლისაც საქმეებს აურევს ინდოეთში. თუ რომ რუსეთი ხერხიანად მოიქცა, ინდოეთში მთლად მკვიდრი ხალხი აუჯანყდება ინგლისს. ამიტომ ინგლისი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, რომ თიბეთის გამო საქმეები არ აეწეწოს. («ნოვ.»).

—

პარიჟიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზეთ «ნოვოსტს», რომ იაპონიამ ხელი მოაწერინა კორეის იმპერატორს, ამას შემდეგ კორეა იაპონიის პროტექტორატობის ქვეშ უნდა იყოსო. სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადესო.

—

მადრიდიდგან იმავე გაზეთს ატყობინებენ, სამხედრო სამინისტრომ მოითხოვა, რომ მთავრობამ ეხლავე 10 მილიონი პეზეტი მოახმაროს ქვეყნის შეიარაღებას და ამას გარდა 92 მილიონი პეზეტი გადასდოს იმავე საგნისთვის, თუ რომ საჭიროება მოითხოვაო.

—

ევროპიელთა გაზეთები შიშობენ, ვაი თუ იაპონელები უცხოელთ ცუდად მოეპყრან, რადგან სიძულვილი ძლიერდებაო. უცხოელთა მეტი ნაწილი იოკაჰამაში ყოფილა 2,000 კაცამდე და მათ შორის რამდენიმე ასი გერმანელი. ამ მცირე ჯგუფს ყოველ დღიური გაზეთი ჰქონია ინგლისურს ენაზე. რითი და როგორ არსებობენ ეს გაზეთები, როდესაც მხოლოდ 60—100 ცალი იბეჭდება—ამის გამოცნობა სწორედ ძნელია. გაზეთები ვრცლად გამოდიან, მრავალ ცნობებსა ჰბეჭდავენ და ევროპიდგან ყოველ დღე საყურადღებო დეპეშები მისდით. («ნოვოსტი»).

—

ბარონ შტაკელბერგი, ვლადივოსტოკის ესკადრის უფროსი, როგორც ამას წინად დეპეშაც იუწყებოდა, მართლა ავად ყოფილა და ეხლა რუსეთისაკენ წამოსულა. მისი ადგილი დროებით დაუჭერია კაპიტან რეიცენშტეინს. რომლის უფროსობითაც ესკადრა იაპონიის კუნძულებისკენ მოგზაურობდა.

შანჰაიდგან იუწყებიან, რომ იაპონიას კორეაში იმპერატორის მოადგილედ დაუნიშნავს ტოკუჰავა და მინისტრ-პრეზიდენტად—კატო, რომელიც იმპერატორის სასახლეში დაბინავებულა, რომ იმპერატორი არსად გაიპაროს. ამბობენ, ვითომც საფრანგეთის გემით აპირობდა გაპარვასაო. («რ. ვ.»)

რადგან იაპონიასა და კორეას ხელშეკრულობა დაუდვიათ, რომ კორეა იაპონიას უნდა მიემხროს ომში, საფრანგეთმა უნდა გამოარკვიოს, მოვალეა ხელი გამოიღოს და რუსეთს დაეხმაროს, თუ არა. ბეჯითად ამბობენ, იაპონიას საფრანგეთის ჩარევისა არ ეშინიან, ვიდრე გარეშე საქმეთა მინისტრად დელკასე იქმნებაო (იქვე).

კორეის საზღვრიდან მუკდენში რამდენიმე დაჭრილი აფიცერი მიუყვანიათ. (იქვე).

იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრს კაცურას უთქვამს: ეხლა იაპონია სწრაფად და მედგრად დაეცემა რუსებს, რომ ომი არ გაგრძელდეს და მალე გათავდესო. (იქვე).

ფუჩჟოუში ჩინელები აჯანყებულან, თოფხანა აუკლიათ და 10,000 კილოგრამი თოფის წამალი წაუღიათ. (იქვე).

გაზეთ «კავკასის» დეპეშები.

**პეტერბურგი.** ოდესას დაბრუნდა თავისუფალ ფლოტის გემი «ორიოლი», რომელმაც უკან მოიტანა აქედგან წაღებული საქონელი.

სეულზე გაუვლია 120,000 იაპონიის ქვეითა ჯარსა და მხედრობას. კორეის ჩრდილო მხარეს წასულა 80,000 კაცი, ხოლო არტილერია არ მისდევს.

ცინტაოს მოვიდა გერმანიის კრეისერი და მოიყვანა დარაჯი საელჩოს დასაცველად სეულში.

30,000 რუსის ჯარი 50 ზარბაზნით მდ. იალუს გადასულა.

იაპონიის ესკადრა შაბათს მოკპოში უნახავთ. გვარდიის დივიზია იაპონიაში დარჩენილა. ბოლოს დროს იაპონელთ ჯარი აღარ გადაუსხამთ ჩემულპოში; გადაიყვანეს მხოლოდ 4,000 ცხენი და გაზიდეს სურსათი. ჯარს გადაიყვანენ ხაპჩოუს სამხრეთით. ამით იაპონელები ხუთის დღით დაწინაურდებიან. პხინ-იანს ახლო დაბანაკებულა 8,000 იაპონელი. რუსები დგანან ი-ჩჟოუს, ჩაანსა და სუნანში.

## ტფილისი

*** სამხედრო ინჟენერი პოლკოვნიკი თარხნიშვილი დაინიშნა ტფილისის საინჟენერო დისტანციის უფროსად.

*** ქუთაისის სახალხო სკოლათა დირექტორად დაინიშნა ბაქოს წმ. ნინოს სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს თავმჯდომარე სტატ. სოვ. ფედოროვი.

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა შინაგან საქმეთა მინისტრისაგან დეპეშა მიიღო, ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა, მადლობა გამოეცხადოს ბაქოს ქალაქის გამგეობას მოსამსახურეთ უქვეშევრდომილეს გრძნობათა გამოცხადებისთვისაო.

*** ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი შულგინი ამავე გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად იქმნა დანიშნული.

*** სხვა-და-სხვა დაბა-სოფლებიდგან კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას უთვლიან, ესა და ეს წამალი ან იარაღი გამოგვიგზავნეთო. ასეთ მთხოვნელთა რიცხვი გაზაფხულობით ერთობ ბევრია, რის გამოც საზოგადოება დროზედ ვერ აწვდის წამალს და მასალას ყველას. ამიტომ განიზრახა წამლებისა და იარაღების საწყობი მაღაზია დააარსოს თელავსა და სიღნაღში, საიდგანაც მცხოვრებთ შეეძლებათ წამლების წაღება. ამ საგანზე სამეურნეო საზოგადოება მოკლე ხანში იქონიებს მსჯელობას.

*** კავკასიის სააბრეშუმო სადგურმა დიდძალი აბრეშუმის თესლი გასინჯა და კიდევ ბევრი აქვს გასასინჯავი. როგორც აღმოჩნდა, წლეულს ისე ბევრი არ არის უვარგისი თესლი, როგორც შარშან.

*** ჩვენ გვატყობინებენ განჯიდან: ქართული საღამო «ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ 29 თებერვლისთვის არის დანიშნულიო. გამგენი ყოველგვარს ღონისძიებას ხმარობენ, რომ საღამომ ბრწყინვალედ ჩაიაროსო.

*** ტფილისში დიდმარხვის პირველ კვირაში ძალიან ცოტა საქონელი დაიკლა. საქონლის მოედანზედაც ცოტა მორეკეს საქონელი. მეორე კვირაზედ-კი დიდძალი საქონელი მორეკეს სხვა-და-სხვა ჯიშისა.

*** ტფილისი მეტად გაიზარდა ცოტა ხანში: მცხოვრებთა რიცხვმა შესამჩნევად იმატა და ფოსტალიონებს, რომელთა რიცხვიც ამ ჟამად მცირეა, დიდი ჯაფა ადგიათ, არც თუ სახარბიელო ჯამაგირი ეძლევათ. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს განუზრახავს, 18 ფოსტალიონი მოუმატოს ტფილისში. როგორც ამობენ, ჯამაგირებსაც მოუმატებენ.

*** ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ნიხრი ხორცზე, რომელსაც ყასაბნი თავიანთ ნებაზედ ჰყიდდნენ აქამდე. პირველის ხარისხისა ღირს—10 კაპ., მეორე—9 კაპ., მესამე—6 კაპეიკი. სუკი—15 კ. ნიხრი დაწესდა, მაგრამ ყასაბთა თავგასულობას თუ რამე ეშველება, არ ვიცით.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობა ამ დღეებში შეუდგება ხაზინასა და ქალაქს შორის განაწილებას ქილაქის პოლიციის შესანახ ფულისას.

*** საქართველოს ექსარხოსის ნებართვით, ყოველ ეკკლესიებში წირვის შემდეგ მლოცველთა შორის ფულს ჰკრებენ წითელის ჯვრის სასარგებლოდ.

*** ბაქოს სამრეწველო დაწესებულებებს გადაუწყვეტიათ ჯამაგირი მისცენ იმ მომუშავეთ, რომელნიც ომში იქნებიან გაწვეულნი.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიზრახა ნაძალადევში გაამრავლოს ქალაქის მიწის ყურის მგდებელნი. ზოგს ისეთ ადგილას დაუდგამს სახლი, სადაც ქუჩის გაყვანა უნდოდა გამგეობას.

*** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ: რაღაც მიზეზის გამო ქალაქის გამგეობა ყურადღებას არ აქცევს თუმანოვის ქუჩას, რომელიც მოუკირწყლავია და პატარა ავდრის დროს შეუძლებელია გავლა ისე, რომ ტალახში არ ჩაგრჩეთ ფეხსაცმელი. ნეტა როდემდის დარჩება ეს ქუჩა ასეთ მდგომარეობაში? თუ ქალაქის გამგეობა არ იკისრებს თავის ხარჯით მოკირწყლოს ქუჩა, მაშინ მცხოვრებთ გადაახდევინოს ფული, რაზედაც უთუოდ დასთანხმდებიან.

*** მიკროსკოპიულმა სადგურმა ამ დღეებში შესწყვიტა თავისი მოქმედება—დაკლულ ღორებს აღარ სინჯავს. ღორებიც აღარ ჩამოჰყავთ ტფილისში. ღორის ხორცი ამიტომ ძვირად იშოვება. ვისაც აქვს, მამასისხლად აფასებს.

## ჩვენებური ამბები

**ქიზიყი.** იანვარში გვარიანი დარები იდგა: თებერვალსაც ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს, მხოლოდ დასაწყისიდამვე ოდნავ დაუქროლა, მაგრამ ისევ მალე მიუყუჩდა. . ომიანობის ამბავმა ხომ არ შეაკრთო და შეუკრა კაპიწი?-..

ჩვენამდისაც მოახწია ომიანობის ხმამ. დიდს საგონებელში ჩაცვივდნენ ქიზიყელნი, ნამეტნავად ვისაც შვილი ჰყავს «სალდათად» გაგზავნილი. ერთს ქიზიყელ დედაკაცს, რომელსაც შვილი ტაშკენტში ჰყავს ჯარის კაცად, გაეგო თუ არა, ჩვენმა ხელმწიფემ ომი დაიწყოო, გადაქცეულიყო და იქვე გული შეჰღონებოდა. წყლით ძლივს მოესურიელებინათ მეზობლებს.

ქიზიყელებს ახლა გაცხარებული ლაპარაკი აქვსთ ომზე. ამბობენ,—რამ წამს დაღესტნის ლეკები გაიგებენ, შორს ომიაო, მაშინათვე ჩვენსკენ მოაშურებენ და ფარულის თარეშით სიცოცხლეს ჩაგვიმწარებენო. აბა, ჩვენ რით უნდა გავცეთ იმათ პასუხიო. სოფელში ერთი დაჭენგებული თოფი არ არისო. თოფის შეძენის ნებაც არავისა აქვს. ხელ ცარიელი კაცი რას გააწყობს შეთოფ-იარაღებულ ხალხთანა.—მაგრამ თუ თოფები გვექნება, ბევრჯელ გვიჩვენებია იმათთვის უნარი და არც ეხლა ჩამოუვარდებითო. აბოლოვებენ თავიანთს ნათქვამს ქიზიყელნი.

«რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, მოეცხოს ჩირქი ტაძარსა „წმიდას“-ო, ყველასაგან აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ დედა-ენა არის უსაჭიროესი იარაღი ხალხის წინსვლისა, წარმატებისა, საუკეთესო მომავლის დამყარებისა. უდედაენოდ შეუძლებელია ბავშვის გონების განვითარება, სწავლის შეძენა. დედა-ენა წინდია ეროვნულის თვითცნობიერებისა, კაცობრიულის იდეალისა. მაგრამ, აბა, დაეკითხეთ ჩვენებურ პოლიტიკანებს, ისინიც ამას იტყვიან?! აკი ამიტომ არის, რომ ამდენ ხანს ერთი რიგიანი, შეგნებული თავისი და ქვეყნის სასარგებლო კაცი ვერ გამოვზარდეთ სოფლად, თუმცა მუდამ დღე ჩავჩიჩინებთ და წიგნს ვასწავლით.

პოლიტიკანებმა ძრიელ იტკიცეს, რომ აქამდის კიდევ ვცდილობთ ქართულის სწავლას. ამოდენა აუარებელი ზღვა ფული იხარჯება და ეს რა ამბავიაო. ვისაც უნდა, რომ წარმატება, ჩინ მენდლები მიიღოს, უნდა უარ-ჰყოს დედა-ენა, ქართული წიგნი, მუნჯურ მეთოდს მისდიოს, იმას ეთაყვანოსო. გაგიხარიან, ჩვენც, ქართველები, ჩინ-მენდლების მოყვარულნი არა ვართ რა! ერთმანეთს ვეჯიბრებით—ეს მეთოდია მალამო ხალხის განათლებისაო.

მეგობარი.

—

**ჭიათურა.** ძველის ანდაზისა არ იყოს:

## ფელეტონი

### ღამე.

ღამეა, ჰყინავს და ქარაშხალი
თითქოს ღამის ჩრდილს ეთამაშება,
დაჰქროლავს მიწას, დაისისინებს
და თავისვე ხმას უხმოდ აკვდება.
ახლოს არრაა სახარბიელო,
წყურვილს ვერ მიკლავს ცის დასავალი...
მიწის გარეშე ვერრამ გააძლოს
ადამიანი, მის ხარბი თვალი.

—

მაგრამ მე მაინც მსურს ვუცქეროდე,—
მიყვარს ყურება ცხოვრების ველის...
ჰოი, სატანავ, ზოგთ ანგელოსო,
ზოგთათვის მსგავსო ბასრ-კბილა გველის;
რამდენი მოჰკალ მშიერ-მწყურვალი,
რამდენს შეასვი შხამის ფიალა;
ნეტავ რამდენი, სიკვდილის დღემდე
ატკბე, დაგატკბო და გეტრფიალა.

—

უქმად მძინარნო, შვების ძენი ხართ,
თქვენ როდი იცით, რა არის ტანჯვა;
გონების წიგნში ამოშლილი გაქვთ
ტანჯულ შვილთათვის ზრუნვა და გარჯა.
დეე, ჰყვაოდეს თქვენი ბუნება,
გატკბობდეთ ლხენა და სიყვარული,
სხვებმა იზრუნონ მომავლისათვის,
სხვამ ჩამოჰბანოს ცხოვრებას წყლული.

—

ოჰ, თქვენ, ვისაც გსურთ ამოიტიროთ
სევდა, ნაღველი და სიმწუხარე;
ვისაც მოგიწყდათ ბედის ვარსკვლავი,
ღამის ნათელ ქვეშ ჩაგიქრათ მთვარე.
ვინც მარად სტირით... სტირით და სტირით,
არ იცით, რაა დღე სიხარულის,—
შემომიერთდით და ყველამ ერთად,
ვტყორცნოთ ცხოვრებას ვარამი გულის.

—

სახე ჩამჭკნარი, თვალნი ჩამქრალნი,
უზომო შრომით მოღლილი მკლავი,
უკულმართობა მგესლავ ცხოვრების,
სახლში საფლავი, გარეთ საფლავი;
ყოვლ წუთს ლოდინი განთიადისა,
თავზედ ჩხავილი «შავ-ბედით ყორნის»,—
ოჰ, მეგობარნო, ყველა ესენი,
სულს მიწუხებს და გულს საკლავად ღრღნის.

—

ღამეა, ჰყინავს და ქარიშხალი
თითქოს ღამის ჩრდილს ეთამაშება;
დაჰქროლავს მიწას, დაისისინებს
და თავისვე ხმას უხმოდ აკვდება.
ახლოს არრაა სახარბიელო,
წყურვილს ვერ მიკლავს ცის დასავალი...
მიწის გარეშე ვერრამ გააძლოს,
ადამიანი, მის ხარბი თვალი.

ბ. ახოსპირელი.

### კორეია—ჩო-ზენი.

(ქვეყანა დილა მშვიდობისა).

თუ იაპონია ამომავალის მზის ქვეყანაა, კორეის დილა მშვიდობის ქვეყანა ეწოდება. კორეია წინად ძალიან ერიდებოდა უცხოელებს. ახლო არ იკარებდა, სავაჭროდაც კი ეშინოდა, მოვლენ და ბატონობას მოინდომებენო. ამ ას ორმოცდა ათის წლის წინად ძლივს მოახერხეს ამერიკელებმა და ცოტაოდენი ვაჭრობა დაიწყეს, ისიც არა პირდაპირ, არამედ ჩინეთის შემწეობით. ასის წლის წინად კორეია ჩინეთის მფარველობის ქვეშ იყო. კორეიას ხარჯად ეძლო ჩინეთისა და კორეის მკურნალობაში განთქმული ჟენ-შენის ძირი, ბალახის მგზავსი, რომელიც კორეიასა და მანჯურიის მთებში იშოვება. ეს ძირი მიჰქონდათ ამერიკელ ვაჭრებს ჩინეთიდან და სამაგიეროდ მოჰქონდათ თავისი საქონელი.

ერთხელ ამერიკელებს გემი დაემსხვრათ გზაში და ხალხმა კორეის ნაპირებად შეაფარა თავი. გაიგო კორეის მთავრობამ და მაშინვე სეულში გაჰგზავნეს, ჩვენება ჩამოართვეს. კორეის მაშინდელმა რეგენტმა თაი-უენ-გუნმა, რომელიც საშინელი მოძულე იყო ევროპიელებისა, მაინც შეიწყნარა გადარჩენილნი, უბრძანა, მიეცათ მათთვის ტანისამოსი, საჭმელ-სასმელი; შესხეს შემდეგ ცხენებზედ და გაისტუმრეს ჩინეთში, საცა ამერიკის კონსულმა უპატრონა. ეს იყო 1866 წელს.

მეორე გემი ამერიკელებისა რამდენისამე თვის შემდეგ გაირიყა კორეის ნაპირების მახლობლად. გემი შეიარაღებული იყო. და თუმცა სავაჭრო საქონელი ჰქონდათ ზედ ამერიკელებს, მაინც მთლად ხალხი გემისა შეიპყრეს და ამოსწყვიტეს. გემი დასწვეს. იარაღი და ზარბაზნები წაიღეს და თავის ქვეყნის დასაცველად გამოიყენეს. იმათ მიმზგავსებით საკუთარი ზარბაზნებიც ჩამოასხეს.

იმავე წელს ვიღაც ურია ოპერტი შეიპყრეს, რომელიც კორეიაში ღამე მისულიყო და კორეის იმპერატორების წინაპრის საფლავის გათხრა დაეპირებინა მალვით, შიგ დიდძალი განძი იქნებაო. ოპერტი შეიპყრეს, იმან თავის მართლება დაიწყო, მაგრამ უბრძანეს, ჩქარა დაიკარგე აქედგან, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებთო.

ბევრს ეცადნენ ინგლისელებიც, ფრანგებიც, გერმანელებიც, მაგრამ ვერას გზით ვერ მოახერხეს სავაჭრო ურთიერთობა ჩამოეგდოთ კორეიასთან და ან რამ სავაჭროვე ხელშეკრულობა დაედოთ. კორეელები ვაჭრობის წინააღმდეგნიც იყვნენ უცხოელებთანა და სადიპლომატო ურთიერთობისაც. მხოლოდ უბედურ შემთხვევაში, თუ ან გემი დაემსხვრეოდათ ზღვის ღელვის გამო, ან სხვა განსაცდელის მიზეზით მიადგებოდნენ კორეის ნაპირებს, კორეელები გულითა და სულით მიეგებებოდნენ ხოლმე და პატივის-ცემით ეკიდებოდნენ. ასეთისავე სტუმართ-მოყვარეობით ეკიდებიან კორეელები ცალკე მოგზაურთ, რომელთაც სამეცნიერო გამოკვლევა ან სავაჭრო საქმე აქვთ აზრად.

მხოლოდ იაპონიამ მოახერხა ბევრის მეცადინეობის შემდეგ სავაჭრო ხელ-

«მაინც არ იყო ძმარიო—შიგ გაურიეს წყალიო», ისე ემართება აქაურ წვრილ მრეწველებს. ჯერ იყო და მაინც შევიწროვებული იყო კრიზისით წვრილი მრეწველობა და ეხლა-კი, „დამწვარზედ მდუღარე დაესხათ: 9 თებერვლიდგან აქაურ დაკლებულ ფასებს კიდევ დაუკლეს. ამის ერთი უმთავრესი მიზეზი შორეულ აღმოსავლეთის ომია. გუშინ თუ ღირდა ჭიათურაში შავი ქვა ფუთი 7 კაპეიკი, დღეს $6\frac{1}{2}$ ღირს, ხოლო წითელი $5\frac{1}{2}$. ჭიქოურში თუ ღირდა შავი 6 კაპ., დღეს $5\frac{1}{2}$ ღირს, ხოლო წითელი—$4\frac{1}{2}$. თუ რამდენად შეუძლებელია ამ ფასად მუშაობა, ამას შემდეგი ანგარიში გვიჩვენებს: იჯარა ადგილის პატრონს ფუთზედ 1 კაპ., მაღაროს მუშას ქვის გამოსაღები 3 კ., გადმოსაზიდი მეურმე-ჩალვადარს, 2 კ. (ზოგან $2\frac{1}{2}$—3 კაპ.) სულ $6\frac{1}{2}$ კაპ. თუ რამდენათ შეუძლებელია ამ გარემოებაში მუშაობა, ამას გვიჩვენებს ზემორე მოყვანილი ანგარიში. ხოლო ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ პირველ იანვრიდგან შევიდა ძალაში 1903 წელს 2 ივნისის კანონი, რომელიც ძალიან ცუდ მომავალს უქადის წვრილ მრეწველობას. არიან ისეთი მრეწველებიც რომელთაც 300—400 მან. შეძლება თუ ექნება, მეტი არა აქვთ ⁊ საიდან შეუძლია დაშავებულ მუშას პენსიები აძლიოს ან და ერთ დროულათ 2,000—3,000 მანეთი. როგორც სჩანს, წვრილი მრეწველობა და 2 ივნისის კანონი ვერ ეწყობა ერთად და აქედგან ის გამოდის, რომ წვრილმა მრეწველობამ უნდა განისვენოს წიაღსა შინა აბრაამისასა.

პატარა ჭიქოურში არსებობს ერთი სამიკიტნო. თუ როგორი ხალხი იყრის იქ თავს, შემდეგიდგან დაინახავს მკითხველი: 8 თებერვალს, დილა ადრე, ჭიქოურში მივდიოდით მე და ერთიც სხვა. მიუახლოვდით დუქანს თუ არა, ერთი ყმაწვილი მორბოდა გასისხლიინებულის დანით ხელში. მოვარდა ჩვენთან და გვითხრა: «არიქა, მკლავენ და მიშველეთო».—ვინ გკლავს-მეთქი? ვკითხე.—«არ ვიცი, ბატონო, ვინ არიან»... ერთი «არღანჩიკია»... ორი თუ სამი კინტოებია... ერთ ხანს ქე მცემეს, მერე გამოვექეცი და რკინის გზის ბუდკის ქვეშ დავიმალე. ისინიც გამომიდგნენ, მაგრამ ვერ მნახეს. მერე გაიქცნენ ჩემ საძებრად და მე აქეთ გამოვიქეცი. მიშველეთ... მკლავენ... თუ ხართ ქრისტიანი»...

— „ეს დანა რად გინდა-მეთქი?—ეს, ბატონო, მედუქნის ბიჭს წავართვი. მუცელში უნდოდა ჩაკვრა, მაგრამ მოვასწარი და წავართვი. მიშველეთ, მიშველეთ დამმალეთ სადმე“.

მე ბოქაულთან გავასწავლე და თანაც უთხარი, ნუ გეშინია, აქედგან არავის გამოუშვებ-მეთქი. შემდეგ ვიკითხე და, როგორც გადმომცეს, ზემოდ დასახელებულ რაინდების ბუდე ყოფილა ეს დუქანი და ამისთანა შემთხვევებიც «არ ახალია, ძველია“-ო. კარგი იქნება, რომ მიაქცევლნენ ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებასა.

ლადო გუბელი.

—

**ᲡᲝᲤ. ᲨᲘᲚᲓᲐ.** (თელავის მაზრა). სოფელი შილდა თელავიდან 25 ვერსზეა დაშორებული, 800 კომლამდე მცხოვრებია; მდებარეობა კარგი აქვს, მცხოვრებნი მდებარეობის მხრივ მდ. ალაზნის გაღმით მდებარე სოფლებს არ ჩამოუვარდებიან. ბევრი და დვინო საკმარისად მოდის.

შილდაში როგორდაც შემთხვევით მოვხვდი წარსულის წლის მაისის 7-ს. სწორედ ამ დღეს ხალხი სამხიარულოდ მომზადებული იყო. შილდაში ერთად-ერთი ნაცნობი მყავდა—მასწავლებელი, რომელთანაც მივედი სანახავად. შილდაშია ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, საეკლესია სკოლა, აფთიაქი და ერთიც სახალხო, იაფ-ფასიანი ბიბლიოთეკა-სამკითხველო. სამინისტრო სკოლა ამ ჟამად თავის დანიშნულებას ასრულებს: სწავლა ისე სწარმოებს, როგორც უმაწვილის სულსა და გულს შეეფერება. ეს მასწავლებელზედაც არის დამოკიდებული. ამ ჟამად შილდის სკოლას ისეთი ხელმძღვანელი მასწავლებელი ჰყავს და საქმეც ისე კარგად მიჰყავს, რომ სკოლა არა ერთხელ და ორჯერ უქია და მადლობა გადაუხდია სკოლების უფროსს დათვალიერების დროს.

აფთიაქი კერძოდ აქვთ გამართული. სოფელს ჰყავს თავისთვის ფერშალი, თუ საჭიროება მოითხოვს, მოჰყავთ ექიმი სოფელ ენისელიდგან, სადაც ქსენონია გამართული. იაფ-ფასიანი ბიბლიოთეკა-სამკითხველო გაუმართავს ქართ. შორ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას 1901 წელს. მართალია, ბიბლიოთეკა სულ ეს მესამე წელიწადია, რაც აქ დაუარსებიათ, მაგრამ ამ ცოტა ხნის განმავლობაში წევრები საკმარისად შეუძენია, ასე 60 წევრამდე, შემდეგ და შემდეგ ამ დაწესებულებას უფრო მეტი თანამგრძნობი აღმოუჩნდება და საქმეც კარგად წავა, თუ ხელმძღვანელნი და დამაარსებლები ყურადღებას მიაქცევენ.

ბიბლიოთეკის ნახვა განსაკუთრებით მოვიწადინე. მივედით მე და შილდის მასწავლებელი. სწორედ არა სასურველ მდგომარეობაში დავხვდა. ყველა სხვა დანარჩენ ბიბლიოთეკებს, წერა კით. გამავ. საზოგადოების მიერ დაარსებულთ, ბევრად ჩამორჩენია და ღარიბიც არის წიგნებით; სახელდობრ: ბიბლიოთეკის მთელ სიმდიდრეს შეადგენს სულ 230-მდის ცალი წიგნი რუსულ-ქართული. რას უნდა მივაწეროთ ეს გარემოება? იქნებ იმას, რომ წერ. კით. გამავრც. საზოგადოებამ გამართა ბიბლიოთეკა და ცოტა წიგნები შესწირა,ან იმას, რომ ქართველმა საზოგადოებამ დაიზარა თითო-ოროლა წიგნის შეწირვა? ბიბლიოთეკაში ბევრი ისეთი წიგნებიცაა, რომ სოფლის ჯერ კიდევ წიგნების კითხვას მიუჩვეველ ხალხს მისი შინაარსი არ მიიზიდავს. ერთი სიტყვით, ბიბლიოთეკაში ძალიან ცოტაა სახალხო შინაარსიანი წიგნები. ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწარმოები ხომ ძალიან ცოტაა. ბიბლიოთეკას გამოწერილი ჰქონდა წარსულ წელს: «მოამბე», «ცნ. ფურ.», «ივერია», „კვალი“. წელსაც, მგონია, ისევ იგივე გაზეთები აქვს გამოწერილი.

როგორც მკითხველი ჰხედავს, სოფ. შილდის ბიბლიოთეკა ძალიან ღარიბად არის წიგნებზე. კარგი იქნება, ყველა იმ პატივცემულთ, ვისაც უნდა, რომ ხელი შეუწყოს სოფლად დაარსებულ ბიბლიოთეკებს, ცოტად თუ ბევრად წინ წასწიოს ბიბლიოთეკის საქმე და მკითხველ საზოგადოებასაც ხელი შეუწყონ, სასურველია თითო-ოროლა წიგნი შესწირონ შილდის ბიბლიოთეკას ამ ადრესით: Черезъ гор. Телавъ, въ сел. Шильди. Завѣдывающему библіотекою кн. Давиду Р. Вахвахову.

დიდის მადლობის ღირსია ამ სოფლის მასწავლებელი, რომელიც უსასყიდლოდ ასრულებს ბიბლიოთეკარის სამსახურს და ყოველ დროს ბიბლიოთეკაში ყველა შემსვლელს დაუზარებლივ აწვდის წიგნებს.

კოტე ალაზნისპირელი

—

# ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

ა. სუვორინი ამბობს «ნოვ. ვრ.»-ში: მე გაზეთხულსა ვნატრობდი, ვწინასწარმეტყველებდი და იმის მაგიერ-კი იაპონიის „ეშმაკი“ აგვეტუზა წინაო.

მე გაზაფხულზე ჩამოვაგდე ლაპარაკი და ეს სიტყვა ისე მოეფინა ქვეყანას, რომ ფიქრადაც არ მომივიდოდა პირველში. სხვა გაზაფხულის იმედი მქონდა, რუსეთის გაზაფხულისა, როცა ჩვენი ცხოვრება გაიშლებოდა, გითა უხვავილი აღუვავდებოდა არა დიდონის მჭევრ-მეტყველებით, არამედ მშვიდობიანის საზოგადო საქმის განვითარებით და ეს განვითარება მაღლა აღიტაცებდა ჩვენს სულს, გაარკვევდა ჩვენს ჭოარაობას, ეჭვიანობას, ეკალივით ძირში მოსთხრიდა მძულვარებას და გაამუქებდა ჩვენს ბნელს გზას გონივრულის თავისუფლებისა ⁊ გულის-ხმაში ჩაგდების სინათლით. თვალ-წინ მეხატებოდა და მშვიდობიანი დვაწლი და წინწაწევა რუსეთის თვით-ცნობიერებისა, თვით-მმართველობის ენერგიის გაძლიერებისა, ერის კმაყოფილებისა.

ამ დროს-კი უცებ ეშმაკი გატევრა აღმოსავლეთად, შორეულ აღმოსავლეთად, სადაც თავ-ბრუს დამხვევ სიჩქარით მივისწრაფოდით, თითქო რადაც უხილავი ძალა გვეწევა იქითაო. ეშმაკს თავი ჰქონდა მოკატუნებული, სუსტი რამ ვარ, მორჩილიო, კუდი ამოეძუებინა, რქები ძირს დაეშვა, ენა გვერდზედ გადმოეგდო და ედამ თვალებს ახამხამებდა. განათლებული ეშმაკია, სასიამოვნო, მორჩილიო,—ვფიქრობდით. უცებ-კი მოგვეპარა და ცეცხლი გადმოჰყარა პირიდან, ცეცხლის ალში გაგვახვია და დაგვწვა.

დასწვა რუსეთი, დასწვა მთლად ერი რუსეთისა. პირი ჰქნა ჩვენმა წედულებმა, რუსთა სისხლმა იწყო თქრიალი, სიკვდილმა პირი დააღო და გადაჰყლაპა პირველნი მსხვერპლნი, მამათა და დედათა ცრემლით განბანილნი...

მაშ გაზაფხულს ვერ მოვესწრებით, ვერ მოვესწრებით სასიხარულო მშვიდობას, ვერ მოვესწრებით მტერზედ გამარჯვებას? ვერ დავუმტკიცებთ ეშმაკს, რომ ჯერ ადრე ეძლევა სიხარულს, ძლიერ ადრე აუბზეკია კუდი და აქნევს აქეთ-იქით სიხარულით?!

***

პროფესორმა ა. სლავატინსკიმ, რომლის შესანიშნავი წერილებიც ევროპაში მოგზაურობის შესახებ შარშან დაიბეჭდა ჟურნალ «ვესტნ. ევროპ.»-ში, ახლა-ხან დაპბეჭდა გაზ. «რუს. ვედ.»-ში დიდად საყურადღებო გამოსათხოვარი წერილი განსვენებულის ბ. ჩიჩერინისა თვისის ლექციების მსმენელთა მიმართ. აი ის წერილი:

უნივერსიტეტის მთავრობის გახკარგულებამ, რომლის ძალითაც შესწყდა ჩემის ლექციების კითხვა დაწესებულ ვადაზედ ადრე, ნება არ მომცა დამეთავრებინა ჩემი ლექციები და ისე გამოგთხოვებოდით, როგორც სასურველი იყო ჩემთვის... ამიტომ გწერთ ამ წერილს და ისე გეთხოვებით, როგორც მასწავლებელი. იმედი მაქვს, კვლავ შევხვდებით ერთმანეთს ცხოვრების გზაზედ, შევხვდებით მეგობრებად, ხოლო კათედრაზედ ვეღარა მნახავთ.

ვნანობ, რომ უნდა მოგშორდეთ, ვნანობ, რომ აღარ შემიძლიან დავამთავრო მაინც უკვე დაწყებული კურსი; მაგრამ არის ხოლმე ისეთი გარემოება, როცა სახელი ადამიანისა ყოველ მოსაზრებაზედ მაღლა უნდა იდგეს და სახელის გულისათვის ბევრი რამ უნდა უარ-ჰყოს და დასთმოს ადამიანმა. სახელი და სვინიდისი ნებას აღარ მაძლევს კვლავ დავრჩე უნივერსიტეტში. თქვენ, ჩემო მეგობარნო, ჯერ არ გადაგივიწყნიათ, რომ ზნეობრივი მოსაზრება ყველაფერზედ მაღლა უნდა იდგეს ამ ქვეყნად. ამიტომ იმედი მაქვს, არ დამემდურებით, არ გამკიცხავთ, რომ შევსწყვიტე ჩემი კურსი. მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია არა მარტო თქვენს გონებაზედ მქონდეს გავლენა, არამედ მაგალითიც მოგცეთ ზნეობრივი, ვსდგე თქვენს წინაშე, ვითა კაცი და მოქალაქე. ზნეობრივი ურთიერთობა მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის უძვირფასესი განძია უნივერსიტეტის ცხოვრებისა. მეცნიერება აძლევს ადამიანს არა მარტო ცოდნას; მეცნიერება ადამიანის სულს ამაღლებს და აკეთილშობილებს. ვინც მეცნიერების სიყვარულში აღზრდილა, წუთი-სოფლის არავითარ სიამისათვის არ გაჰყიდის ჭეშმარიტებას. ასეთი ანდერძი მოგვცეს ჩვენმა წინა მოადგილეებმა კათედრიდან, ასეთი აღთქმა დაგვიდეს იმათ და ჩვენც შევფიცეთ გულში, არ გაგვეტეხნა შათი აღთქმა, არ გვეღალატნა შათის ანდერძისათვის. დღეს, როცა უნივერსიტეტს თავს ვ ნებებ, ეგა მაქვს ნუგეშად, რომ მეცა და ჩემმა ამხანაგებმაც ვუერთგულეთ ასეთს საზნეობო დროშას, რომ პატიოსნებითა და სვინიდისიერად შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა და არ დავამცირეთ ჩვენი მაღალი მოწოდება.

გისურვებთ თქვენც, მტკიცედ და მედგრად ადგეთ ასეთს გზას და უხვად სთესავდეთ კეთილს თესლს ყველგან რუსეთში, არ ივიწყებდეთ თქვენს მოვალეობას, არ გატაცებოდეთ უცბად დაბერილს ქარს გატაცებისას, არ იმცირებდეთ თავს ძლიერთა შიშით, არ იდრეკდეთ ქედს უსამართლობის წინაშე. რუსეთს ეჭირვება კაცნი მტკიცენი და დამოუკიდებელნი რწმენით. ასეთნი კაცნი არიან წინდნი და თავმდებნი უკეთესის ბედისა. მაგრამ მტკიცე რწმენის შეძენა მოედნებზედ არ შეიძლება. შათი შეძენა შეიძლება მხოლოდ თავგამეტებულის, შეუპოვარის გონებრივის გამრჯელობით. ჩემის მასწავლებლობის იდეალიც ეგ იყო, რომ დამეყენებინეთ ამ გზაზედ, შემჩვენებინა თქვენთვის ხიბლი მეცნიერებისა, რომელიც მტკიცეა და გულ-დამშვიდებული, არ უგდებს ყურს დას-დასობას, გულის-თქმათა შინწრაფებას და შეუძლებელია აღიტაცოს ადამიანი იმ უმაღლეს სფეროში, სადაც ძალნი სულისა მისისანი რკინასავით იჭედება მეტის დვაწლ-მოსილობისა და აღფრთოვანებისათვის.

რაოდენად მივაღწიე ჩემს სურვილს, ამისი უკეთესნი მსაჯულნი თქვენა ხართ. ყოველ შემთხვევაში გშორდებით რა, იმედი მაქვს, ვსტოვებ თქვენს შორის კეთილს ხსოვნას და პატიოსანს სახელს. ეს იქნება ჩემი საუკეთესო და ძვირფასი ჯილდო ყოველისავე დანარჩენისათვის.

—

# ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ქართველ მსახიობთა ამხანაგობა, როგორც ამას წინად გვქონდა მოხსენებული, უკვე შესდგა ვალ. გუნიას გამგელობით და ამ დიდმარხვაში ტფილისს გარდა წარმოდგენების გამართვას აპირებს ქ. განჯაში, გუმბრში, ქუთაისში, სამტრედიაში და საჩხერეში. ყველა ამ ადგილებში წარმოადგენენ თავ. სუმბათაშვილის ცნობილს პიესას «ღალატს», მთავარი როლები განაწილებული იქნება ქ-ნ ქ. ანდრონიკაშვილისა, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელისა, მ. მდივნისა ⁊ ბ-ნთ ვ. აბაშიძესა, კ. ყიფიანსა, ვ. გუნიას, დ. ჩარკვიანსა, კ. შათირიშვილსა და სვიმონიძის შორის.

პირველი წარმოდგენა პროვინციაში გაიმართება ჯერ განჯაში, 24 თებერვალს, მერე სამტრედიასა, ჭიათურასა და ბოლოს ქუთაისში.

—

# ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 თებერვალი.

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** პოდპოლკოვნიკი სელეზნევი დანიშნულ იქმნა მანჯურიის ჯარის სამხედრო შტაბის კანცელარიის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

**ᲘᲠᲙᲣᲢᲡᲙᲘ.** 17 თებერვალს, პარაკლისის შემდეგ, გზათა მინისტრის თავად ხილკოვის თანადასწრებით, პირველად წავიდა ყინულ-რკინის გზაზე, ბაიკალზე, მატარებელი.

**ᲚᲘᲝᲐᲘᲐᲜᲘ.** იაპონელნი მიწყნარებულნი არიან. იაპონელთ დაიჭირეს კორეაში პენიანი და ქალაქის ზღუდეებს ამაგრებენ. რუსეთის რაზმი პენიანს ახლოა. ჩინელნი იაპონელთა მოძრაობის შესახებ ცალყბივ აძლევენ ცნობებსა. ჩინელნი ლიაოხეს ახლო აძლიერებენ ჯარებსა. 10 ათასი კაცი გენერალ იუანშიკაისა იუნპინფას ახლო სდგანან, ხოლო 15 ათასი—გენერალ მასი ი-ჩეუ გარშემო-ლის პროვინციაში ახალ-ახალი ჯარები მოდის.

**ᲘᲝᲜᲙᲝᲣ.** («რეიტ. სააგენტო»). 16 თებერვალს პორტ-არტურთან გაჩნდა იაპონიის 15 სამხედრო გემი და ძლიერი სროლა ასტეხეს. კრეისერები «ნოვიკი», «ასკოლდი» და «ბაიანი» გავიდნენ ნავთსადგურიდგან ოთხის ნაღმოსანით იერიშის მისატანად, შემდეგ ისევ დაბრუნდნენ. ერთი ნაღმოსანი დაზიანდა, ორი საათის სროლის შემდეგ იაპონიის ფლოტი უკან გაბრუნდა.

**ᲑᲝᲚᲝᲒᲝᲔ.** «დიდის მთავრინას მარიამ პავლეს ასულის სანიტარული მატარებლის მოხელენი, გაუდგნენ რა გზას შორეულს აღმოსავლეთში, უგზავნიან ნათესავთ და ნაცნობთ მხურვალე მოკითხვას და მადლობას გულითადის გაცილებისათვის. რწმუნებული გრებსი. კომენდანტი—კაპიტანი ბუხი. უფროსი ექიმი დუკატი».

**ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝᲞᲝᲚᲘ.** შავის ზღვის ფლოტის გასასინჯავად დანიშნული ადმირალი ვერხოვსკი დღეს მოვიდა და დღესვე შეუდგა ფლოტის და კამანდის გასინჯვას.

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.** საბირჟო საზოგადოებამ შეკრიბა მხედართა სახლობის სასარგებლოდ 350 ათასი მ., დრამატიულ მწერალთა საზოგადოებამ შეკრიბა 5 ათსი მ.

**ᲡᲝᲤᲘᲐ.** (საკუთ. კორრეს.). არსდება ცენტრალურ ქალთა კომიტეტი საპროვინციო განყოფილებებით, რომელიც შეუდგა შეწირულებათა მოგროვებას ავადმ

—

შეკრულობის დადება კორეელებთან. 1873 წელს, როცა კორეის დღევანდელი იმპერატორი სრულ-წლოვანი შეიქმნა, იაპონიამ ელჩები გაჰგზავნა კორეიაში ამ ამბის მისალოცად, მაგრამ იმპერატორს ურჩიეს, ნუ მიიღებ მაგ ელჩებს, ევროპიულად აცვიათო. ცოტახანს შემდეგ იაპონიის სამხედრო გემმა რამდენიმე იაპონელი გადასხა კორეის მიწა-წყალზედ. კორეელები აურ-ზაურით დახვდნენ. ბძოლაში ერთი იაპონელი მოიკლა. იაპონიის მთავრობამ არა თუ სასტიკი დასჯა მოითხოვა დამნაშავეთა, არამედ სავაჭრო ხელ-შეკრულობის დადებაცა. სამს წელს გაჭიანურდა ეს საქმე ⁊ 1876 წელს, როგორც იყო, დაიდო ხელ-შეკრულობა. იაპონიას კარი გაუღეს ფუზანის ნავთსადგურისა, ხოლო 1880 წელს—გენზანისაც.

ახლა-კი მხნედ შეუდგა იაპონია თავის გავლენის დამკვიდრებას კორეიაში. იაპონიის ვაჭრებმა დაჰმართეს ბანკების განყოფილებანი, სააგენტონი თავიანთ სანავოსნო კომპანიებისა, მოაწყეს გამოფენა უცხო ქვეყნების საქონლისა. გაიმართა იაპონიის საელჩონიც. იაპონიის გავლენა კორეიაში ისე გაძლიერდა 5—6 წელიწადში, რომ ჩინეთი შეშინდა, ვაი თუ ჩვენი უზენაესი უფლება სულ დავკარგოთ კორეიაზეო. ლი-ხუნ-ჩანგი მაშინ ჩილის ვიცე-კოროლი იყო და იმან მოიფიქრა, იაპონელების გავლენის შესასუსტებლად საჭიროა ევროპიელებმაც წილი დაიდონ კორეის ვაჭრობაში ჩინეთის შემწეობითაო. ამის გამო მალე მოხერხდა და ევროპიელთაც გაეღოთ კარი ამ კარ-დახშულის ქვეყნისა. შეესია კორეიას ევროპიელობა და გაუსვეს ხელი ქვეყანას. ყველას ის უნდოდა, თვითონ გამდიდრებულიყო კორეის ერის წყალობით და თვით ერისათვის-კი არავინ ზრუნავდა. ზოგნი აბრეშუმის მოყვანას შეუდგნენ, ზოგმა სამაგალითო ფერმები მოაწყო, ზოგმა ფოსტა-ტელეგრაფის საქმის ჩაგდება მოინდომა, ზარაფხანის დაარსება, მადნების შემუშავება და სხ.

ევროპიელების შესევა უპირველეს ყოვლისა კორეის მოხელეობას დაეტყო, რომელიც მექრთამეობას და ანგარებას მიეცა. იღებდნენ ქრთამს ევროპიელ ფულიან კაცებისაგან და უხერხებდნენ სხვა-და სხვა კონცესიებს. ხალხი და წვრილი მოხელეობა ხელ-ცარიელი რჩებოდა და სიღარიბეში სცვიოდა. იაპონელებმა ხომ სულ ხელში დაიჭირეს კორეის ეკონომიური ცხოვრება. თავიანთ ბანკებში იღებდნენ ფულს მცირე სარგებლით და, როგორც უნდოდათ, ისე ატრიალებდნენ საქმეს. თვით მოხელეობაცა და მთავრობაც ხელში დაიჭირეს და ყმად გაიხადეს მით, რომ სესხად აძლევდნენ ფულს ბანკებიდგან.

ჩემულპო წინად სოფელსა ჰგავდა. დღეს, 20 წლის შემდეგ, ევროპიულ ქალაქად გადიქცა. მოეწყო ფოსტა-ტელეგრაფის საქმე, გაიყვანეს რკინის გზები. პირველი რკინის გზა ჩემულპოდგან სეულამდე 1898 წელს გაიყვანეს ამერიკელებმა. ეს გზა შემდეგ იაპონელებმა შეისყიდეს და გაიყვანეს კიდევ სეულიდან ფუზანამდე. ამერიკელებსვე აქვთ გამართული სეულში ელექტრონის ტრამვაი. ამერიკელები უფრო ვაჭრობა-მრეწველობაში იღებენ მონაწილეობას, ხოლო ინგლისელნი, გერმანელნი, ფრანგნი სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში არიან და მოხელეობენ.

საზოგადოდ კორეია ნაკლებად განვითარებულის კულტურის პატრონია და, თუმცა იტალიის ოდენაა მიწა-წყლის სივრცით, ძლივს ჰკვებავს 15 მილიონამდე თავის ხალხს.

1893 წელს შეიტანეს კორეიაში 4 მილიონ იენის (მანეთის) საქონელი, ხოლო 1901 წელს—15 მილიონისა. გატანით-კი პირველ წელს $1\frac{1}{2}$ მილ. საქონელი გაიტანეს, ხოლო 8 წლის შემდეგ 5 მილიონისა. მარტო იაპონიამ მიჰყიდა კორეიას 1901 წელს 9 მილიონის საქონელი, დანარჩენი 6 მილიონისა დანარჩენებმა, ევროპიელებმა და ჩინელებმა.

სეულში უფრო ბევრი მაღაზიები იაპონელებსა აქვთ. დამოჟნის უფროსი ინგლისელია. იმის ხელ-ქვეით მსახურობს 25 ევროპიელი. საფოსტო უწყების უფროსი ფრანგია. სულ კორეიაში 38 საფოსტო კონტორაა და 327 განყოფილება. ტელეგრაფსაც სულ 38 კონტორა აქვს კორეაში.

სასწავლებიც ევროპიელების ხელშია. კორეელები კარგად და მალე სწავლობენ ევროპიულს ენებს, უფრო ინგლისურსა და ფრანგულსა.

კორეიაში გავრცელებულია უფრო წარმოება ქაღალდისა, რომელიც შესანიშნავია თვისის სიმტკიცით. ამ ქაღალდს თუთის ხის შიდა გულისაგან ამზადებენ, ისეთი მაგარია, რომ ამ ქაღალდისას იატაკებს აკეთებენ და ჰყოფენ ოთახს ოთახისაგან სახლებში, აკეთებენ აგრეთვე სამზეურებს, წვიმისაგან დასაფარავ წამოსასხმელებს და მრავალ სხვა საგანს, ოჯახში სახმარებელს, ამისათვის ხმარობენ განაგერჩაკის ზეთს, ძრიელ არის გავრცელებული აგრეთვე მეჭურჭლეობა. კორეული ჭურჭელი ჩინებულია და ჩინურს არ დაუვარდება. ბევრში კიდეცა სჯობიან.

საუკეთესო, ევროპიულად მოწყობილი ქალაქ ჩემულპოში, უმრავლესობა უცხოელობაა. კორეელები არცკი სჩანან მათ შორის. მდიდარნი და შეძლებულნი სხვანი არიან, ხოლო თვით კორეელნი, თვით მკვიდრნი შავ მუშაობაში ირთმევენ სულ ლუკმა პურისათვის. მუშაობენ თვით ნავთსადგურში, სტვირთავენ გემებს, ეზიდებიან ზურგით საქონელს, ემსახურებიან გემებზედ. იაპონელებს ამაყათ უჭირავთ თავი კორეელებთან, ხოლო ევროპიელნი ზიზღით შეჰყურებენ, როგორც გლახაკსა და დავრდომილს ხალხს.

ყოფ და დაჭრილ რუსთა მხედართათვის.—დეპუტატთა დამატებითი არჩევანი 29 თებერვალს არის დანიშნული. ხმებია, ოპოზიცია მონაწილეობას არ მიიღებს არჩევნებშიო და ხალხს წარუდგენს მანიფესტს, რომელშიაც იქნება აღნიშნული მიზეზი, თუ რად არ იღებენ მონაწილეობას.

**სოფია.** (საკუთ. კორესპ.). სლავიანთა საქველმოქმედო საზოგადოება 19 თებერვალს მართავს დღესასწაულს ბულგართა განთავისუფლების სახსოვრად და აგრეთვე სლავიანურ კონცერტს, რომლის შემოსავალი დანიშნულია რუსთა დაჭრილ მხედართა სასარგებლოდ. ბილეთები უკვე გაყიდულია. ეს კონცერტი ნიშანია დიდის მანიფესტაციისა რუსთა ჯარების სასარგებლოდ.—ნაჩევიჩის და პორტას ურთიერთ შორის მოლაპარაკებამ ამ ორ მეზობელ სახელმწიფოთა შორის ცოტაოდენი სიწყნარე ჩამოაგდო. ბულგარიაში მაინც ეჭვობენ, პორტამ იქნება არ შეასრულოს პოლიტიკურ დამნაშავეთა, ლტოლვილთა დაბინავებისა და ბოლგართა დევნის მოსპობის შესახებ ნაკისრი ვალდებულებანიო. ბულგარიის ექსარხოსი სტამბოლში ენერგიულად სცდილობს, მიიღოს გარანტია ბულგართა სამწყსოს შესახებ, რომელიც სხვაგან დაეძებს შველას, ოღონდ-კი აიცდინოს იმაზე მიტანილი ძალმომრეობა. ფილიპოპოლელ უნიატთა ეპისკოპოსის მენენის წასვლას რომში იმით მართლებენ, უნდა იშუამდგომლოს, რომა მაკედონიაში მცხოვრები ბულგარნი თვის მფარველობის ქვეშ მიიღოს.

**პარიჟი.** კომბმა, რომელსაც «ფიგაროს» თანამშრომელი ესაუბრა, განაცხადა, უმრავლესობის შეთანხმება ეხლა უფრო საფუძვლიანია, ვინემ სხვა დროსაო. სრული თანხმობა სუფევს კაბინეტშიაც, რომელიც დარჩება სამსახურშიო. კომბმა დაუმატა, ფლოტი საუცხოვო მდგომარეობაშია და ირწმუნება, რომ საფრანგეთს არაფერი ხიფათი არ მოელისო; პირადად კომბი სრული თანახმაა დელკასესი, რომელიც არავითარსამე გარდაწყვეტილებას არ დაადგება, მინამ იმასთან არ ითათბირებს ხოლმე. რაც შეეხება ჟორესსა, თვით ის არის თვისი სიტყვების პასუხის მგებელიო; ის—მთავრობა არ არისო.

**სუეცი.** («რეიტერის საგენტო»). ინგლისისა და ნორვეგიის გემები, რომელნიც რუსეთის ესკადრამ დააკავა სუეცის სრუტეში, გაუშვეს.

**ამსტერდამი.** («რეიტ. საგენტო»). მურავიოვის სიტყვის გამო იაპონიამ პროტესტი გამოაცხადა და დარწმუნებით ამბობს, სამედიატორო სასამართლო არ უნდა შეეხოს მოქმედების დედა-აზრს, ანუ კეთილს სახელს რომელისამე სახელმწიფოისას, რომელმაც ჰააგის კონვენციას ხელი მოაწერაო. იცავს რა თვის პატივს, იაპონიის მთავრობა პროტესტს აცხადებს, რათა სამედიატორო სასამართლომ არ მოჰკიდოს ხელი იმისთანა საქმეს, რომელიც მას არ ეკუთვნის გასასინჯავად; ის თხოულობს, პროტესტი სასამართლოს ოქმებში შეიტანონ და გამოაცხადონ შენიშვნებით, თუ რამ გამოიწვია პროტესტი.

**ლივერპული.** («რეიტერის საგენტო»). ბრიტანიის გემი «ორიოლი», რომელიც დატვირთული იყო ნახშირით და კარდიფიდგან სიგნაპურს მიდიოდა, შეიპყრეს რუსეთის გემებმა მეწამულ ზღვაზედ.

**ტოკიო.** («რეიტერის საგენტო»). კორეის სასახლემ 200,000 იენი გადასდო წითელის ჯვრის ქსენონისათვის. სეულში მყოფი ბრიტანიისა და ამერიკის ელჩები სიამოვნებით მიეგებნენ იაპონია-კორეის ხელშეკრულობას.

მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ მთავრობის მოხელეებმა დაიფარონ და დახმარება აღმოუჩინონ რუსეთის კონსულს ფუზანში, რომელიც დღეს მიისისაკენ მიემგზავრება, ხოლო იქიდგან ნაგასაკში, რათა იქ გემში ჩაჯდეს და სამშობლოში დაბრუნდეს.

**ვაშინგტონი.** («რეიტერის საგენტო»). რუსეთის განცხადების გამო,—ნუზლ-სანოვაგე სამხედრო კანდრაბანდად ჩაითვლებაო, სახელმწიფო დეპარტამენტმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ნუზლ-სანოვაგეს დანიშნულებისამებრ უნდა მოექცნენო. თუ სანოვაგე მხედრობისათვის არის გაგზავნილი, მაშინ ის, ეჭვი არაა, სამხედრო კონტრაბანდაა, ხოლო თუ სანოვაგეს კერძო კაცთ უგზავნიან, რომელნიც ალყა-შემორტყმულს ქალაქებში სცხოვრობენ, მაშინ არ უნდა იქმნეს აკრძალული მისი გაგზავნა; თუ მაინცა და მაინც დააკავებენ, მაშინ ფული უნდა გადაიხადონ იმდენი, რამდენიც სანოვაგე ეღირებაო.

რუსეთმა ნება დართო ამერიკელ აფიცრებს, რომ მისდიონ ხოლმე რუსეთის მხედრობას ბრძოლის ველზე.

მთავრობას ჯერ არ მიუღია მინდობილება შესახებ იაპონიასა და კუნძულ გუამის (ფილიპინები) შორის განზრახულ კაბელის გაყვანის გამო, თუმცა ერთ-ერთი საზოგადოება, რომელსაც გაჰყავს კაბელი, დაბეჯითებით სცდილობდა გაეგო, თუ როგორ იქნებოდა მიღებული ამგვარი თხოვნა. უკანასკნელი გადაწყვეტილება ამ საგნის შესახებ ჯერ არ მიუღიათ, მაგრამ სურვილი-კი აქვთ ამ თხოვნის დაკმაყოფილებისა. კაბელის გაყვანის შესახებ საგანს განიხილავენ როგორც სავაჭრო საალებ-მიცემო საქმეს, რომლითაც ამერიკის ნეიტრალიტეტი არ დაირღვევა.

**მენტონა.** პრეზიდენტ კრიუგერის ავადმყოფობის შესახებ გავრცელებული აღმაშფოთებელი ხმები, მოკლებულია საფუძველს.

**ბელგრადი.** დარწმუნებით ამბობენ, რომ მთავრობა, ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, სამსახურიდგან გადადგებაო. როგორც ამბობენ, პაშიჩი შეადგენს ახალს სამინისტროს.

**სტამბოლი.** ყველა ბრალდებულთ, რომელთაც ყალბი ორდენების კეთება ჰბრალდებოდათ, სასამართლომ ათის წლით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა.

**სტამბოლი.** იმ სახელმწიფოთა ელჩებმა, რომელთაც ხელ-შეკრულობაზედ ხელი უწერიათ, დღეს ჩააბარეს პორტას ქაღალდი და წინადადებანი; ეს წინადადებანი შემუშავებულია იმ კომისიისაგან, რომელმაც უნდა მოაწყოს უცხოელთაგან შემდგარი ჟანდარმერია.

**ჰონკონგი.** სატრანსპორტო გემი «მედოკი» დაიქირავეს, რომ გადასხან ზედ 29 თებერვალს «ვარიაგიდან» მეზღვარნი, რომელნიც მოვიდნენ ზოგნი საიგონს კრეისერ «პასკალით» და ზოგნიც ჰონკონგს—იტალიის გემით «ელბა»-თი. «მედოკმა» ყველა მეზღვაურნი რუსეთში უნდა წაიყვანოს.

**პეტერბურგი.** 17 თებერვალს ახლადგარდაცვალებულის გენერალ-ადიუტანტის ვანნოვსკის სულის მოსახსენებლად გარდახდილს პანაშვიდს დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცები მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავრები.

«კანონთა კრებულში» დაბეჭდილია წესრიგი ზედამხედველობისა და საზღვარ-გარედ სხვა-და-სხვა ნაწარმოებთა გადატანისა, სახელდობრ: ბამბისა, ოქრომკედისა, სელისა და ძენძისა.

18 თებერვალი.

**მოსკოვი.** ხმოსანთა ჯგუფმა ითხოვა, ძეგლი ავუგოთ მოსკოვში გრიბოედოვს.

**პორტ-არტური.** მოვიდა კონტრ-ადმირალი ესსენი მეზღვაურ ოფიცრებითა. მოელიან ადმირალ მაკაროვს.—როგორც ჩიფუდგან იუწყებიან, 30 მილის მანძილზედ აქედან აღმოსავლეთისაკენაო ჩასძირა წყალმა ნაღმიანი გემიო. ჰნახეს აქ მოსულნი ერთი ოფიცერი და ექვსი მეზღვაური, რომელთაც თავი დააღწიეს ჩაძირულ ნაღმიან გემსაო.—უკანასკნელს დღეებში მიწყნარდა სამხედრო მოქმედება. ეტყობა, იაპონიის ფლოტი გაეცალა აქაურობას ან ზღვის ღელვის გამო ან ქვა-ნახშირის წამოსაღებად საგზლადა. იაპონელნი კვლავ სცდილობენ დაჰმალონ და განგებ შეამცირონ თვისი ზარალი.—როცა შემუსრეს ნაშთნი იაპონიის ასაფეთქებელ მასალით დატვირთულ გემებისა აღმოჩნდა, რომ შიგ ქვა-ნახშირს გარდა, ნავთი და კალცი, რომელსაც უნდა აენთო მორიალებული ნავთი. ცხადია განზრახვა ჰქონდათ ჯოჯოხეთური აფეთქება მოეხდინათ და ამ აფეთქებას უნდა მოჰყოლოდა მთელი ზღვა ცეცხლისა წყალზედა, წყალზე ანთებული ნავთი გაძლიერებულიყო ნავთსადგურში.

**ტოკიო.** («რეიტერის საგენტო»). საზოგადო არჩევნებმა სრულიად მშვიდობიანად გაიარა. 18 თებერვალს გამოვა იმპერატორის ბრძანება და პარლამენტი მოწოდებულ იქმნება საგანგებო სესიაზედ 5 მარტისათვის. სესია გასტანს 10 დღეს. ამ ხნის განმავლობაში მსჯელობა ექნება სესიას უმთავრესად საადგილ-მამულო გარდასახადის მომატებისათვის 1½ პროცენტით და შემოსავლის კვალობაზედ გაწერილის ხარჯის ერთი-ორად მომატებაზედ.

**ტოკიო.** («ჰავასის საგენტო»). გვარდიის დივიზის რაზმნი და იაპონიის მთავარი შტაბი ჩასხეს ხომალდებში და გაჰგზავნეს კორეის დასავლეთის ნაპირად. მთავარი შტაბი გადავა ხმელეთზედ, როგორც ეტყობა, ჩემულპოში.

**ბერლინი.** მხედრობის წარმომადგენელთა შორის ჰგონებენ, რომ რუსთა განზრახვა ჩრდილო-კორეის დაჭერისა ფრიად მოხერგებული სატაქტიკო ქამანდიაო. აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ ჯერ-ჯერობით საქმეთა საზოგადო ვითარება უფრო ხელ-სეყრელია რუსთათვისაო.

**ბელგრადი.** ოფიციალურს გაზეთში გამოქვეყნებულია ბრძანება მეფის ორდინარის გურიჩის თანამდებობიდგან დათხოვნის შესახებ. გურიჩი სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში დაინიშნა. ამ ოფიცერს ალექსანდრე მეფის მკვლელთა ამხანაგად სთვლიან.

**რომი.** პალატამ მოიწონა კანონ-პროექტი იმის თაობაზედ, რომ ქალებს, რომელთაც შესწავლილი აქვთ იურიდიული მეცნიერება და ეგზამენიც დაუჭერიათ, ნება ჰქონდეთ ნაფიც ვექილთა ადგილი დაიჭირონ.

**სეული.** («ჰავასის საგენტო»). იაპონიის ჯარებს ძლიერ უშლის ხელს ალაგ-ალაგ სითბო და უძნელდებათ სანოვაგის შოვნა. აუარებელი შემთხვევაა საოფლით ავად გახდომისა.

ქვეითა კორპუსის პჰინიანის მეზობელ ნავთსადგურებში გადასხმისათვის ყველაფერი მზადაა.

**ტოკიო.** («რეიტერის საგენტო»). იაპონია-კორეის შეთანხმების დადგენილებათა თანახმად, სეულში მყოფმა იაპონიის ელჩმა განუცხადა კორეის მთავრობას, რომ სეულიდგან ჩეიუმდე სამხედრო რკინის გზის ლიანდაგის გაყვანას დაიწყებენო. ინჟენერნი და მიწის მზომელნი გაემგზავრნენ სეულიდგან.

**ბუქარესტი.** ხმები, ვითომც რუმინიის მხედრობა საომარ ფეხზედ დგებაო, სა ფუძველს მოკლებულია.

**ბრესტი.** მანევრების დროს ჯავშნიანი კრეისერი «ლეონ გამბეტა» დაეჯახა კლდეს და გვერდი შეეხვრიტა; ბულდი გაზნექილია. კრეისერი ნავთსადგურში დაბრუნდა.

**პეტერბურგი.** 17 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორმა გააბედნიერა ნახვით პაჟების კორპუსი.—17 თებერვალს შორეულ აღმოსავლეთიდაგან არავითარიმე ოფიცალიალური ცნობა არ მოსულა.

ბრძანება სამხედრო სამინისტროსადმი: «ხელმწიფე იმპერატორმა უმოწყალესად მომანიჭა მე დიდი პატივი და ნდობა, დამაყენა-რა მანჯურიის ჯარის მოთავედ იაპონიის წინააღმდეგ; ამასთანავე მათმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ კეთილინება და განმათავისუფლა სამხედრო მინისტრის მოვალეობათაგან. აწ გშორდებით მე თქვენ, ძვირფასნო თანამშრომელნო და თანამოსამსახურენო ჩემნო სამხედრო სამინისტროში, ვგრძნობ სულიერს მოთხოვნილებას მოგიძღვნათ უღრმესი და გულწრფელი მადლობა თქვენის თავგანწირულის და დაუღალავის მოქმედებისა და ნაყოფიერის შრომისათვის, რომლის მეოხებით ჩემის ექვსი წლის მინისტრობის დროს შეძლება მომეცა, აღსასრულებლად მისწრაფებათა უმაღლესის წინამძღოლისა ჩვენისა, განმეხორციელებინა ბევრი რამ გასაძლიერებლად და გასამტკიცებლად ყოველ მხრივ ჩვენის სამხედრო ძალ-ღონისა, აგრეთვე გამეუმჯობესებინა ცხოვრება და მდგომარეობა როგორც აფიცრებისა, ისე დაბალ ჯარის-კაცთა». ხელმოწერილ არს: «გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი».

**სამარყანდი.** ომის საჭიროებისათვის ქ. სამარკანდმა შესწირა 10,000 მ., ხოჯენტმა—25,000 მ., ჯიხაკმა—3,000 მ. ხელის მოწერით შეუგროვებიათ სამარყანდში—1,500 მ.

**ირკუტსკი.** მოვიდა სამხედრო გენერალ-გუბერნატორი გრაფი ქუთაისოვი.

**კიევი.** ტერეშჩენკომ შესწირა ომის საჭიროებისათვის 100,000 მ.

**ნაგასაკი.** («რეიტერის საგენტო»). 16 თებერვალს სასებოს მოვიდა 7 დაჭრილი მემანქანე, რომელნიც პორტ-არტურთან დაღუპულ გემებზედ გადარჩნენ. ესენი ამბობენ, რომ გემები დაჰღუპა ნაღმიანმა გემებმა, რომელნიც თან ახლდნენ და რომელთაც ააფეთქესო.

**პარიჟი.** მდ. იალუს მანჯურიის ნაპირზედ სდგას 25,000 რუსის ჯარი. 4,000 რუსის ქვეითა ჯარი ცხენებზედ შეუსხამთ. ამ რაზმს დაუჭერია კორეის მთებში ხეობები 35 მილის მანძილზე ი-ჩჟიუს სამხრეთით. ჯარს თანა აქვს რამდენიმე ზარბაზანი.

**შანჰაი.** («რეიტ. საგ.»). ოფიციალურად იუწყებიან პორტ-არტურიდან, რომ ზღვის დაწევის დროს ნავთსაყუდელში გამოჩენილა ჩაძირული იაპონიის ნაღმოსანი.

**სეული.** («რეიტ. საგ.»). როცა რუსებს და იაპონელებს შეტაკება მოსვლიათ, კვირას, ას იარდზე პხიენიანიდან, მხოლოდ რამდენჯერმე დაუცლიათ თოფზარბაზანი.

**კუოპიო.** შემოწირულებათა შესაკრებად შემდგარა კომიტეტი. ყველა წოდების წარმომადგენელნი იღებენ მონაწილეობას. ლანდსმანებს წინადადება მისცეს, ასეთივე კომიტეტი დააარსეთ თვითოეულ სამამასახლისოშიო. ქალაქის საბჭოში გაიმართება ლატარეია წითელი ჯვრის სასარგებლოდ.

**არზამასი.** საერო კრებას გადაუწყვეტია გამართოს ლაზარეთი 50 საწოლით და ააგოს ღირსისა მამისა სერაფიმეს ხატი. ხატს გადასცემენ იმ ჯავშნიან გემს, რომელსაც მეფის მოადგილე გენერალ-ადიუტანტი ალექსეევი ამოირჩევს.

დროებითი რედაქტორი **ბრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

**პეტერბურგის ბირჟა**
10 თებერვალი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,80 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,35 |
| ლონდონში ჩეკები | 94,55 |
| ბერლინში „ | 46,22½ |
| პარიჟი „ | 37,57½ |
| ბირჟის დისკონტი | 6,7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 94 ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 90½ მყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 349½ წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 302 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 240¼ ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 80 წ. გაყ. |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

**რკინის გზის მიმოსვლა.**
15 ოკდომბრიდან 1903 წ.
(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) სალამოს ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) სალამო 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) სალამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

**ყარს-ერევანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) სალამოს 11 ს. 13 წ.

**ბ) ბათომიდან გამოდის:**

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

**გ) ბაქოდან:**

**ტფილის-ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 48 წ.

**დ) ქუთაისიდან:**

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 წ3

**ე) შორაპნიდან:**

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) სალამოს 5 ს. 58 წ.

**ვ) დარკვეთიდან:**

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი
**ს. ბ. თოფურ ას**
## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ყასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

**ტყიბულის ქვა-ნახშირის სამთა-მადნო საზოგადოებისაგან**

«ტყიბულის ქვა-ნახშირის საზოგადოების» გამგეობას ჰყავს ღუმელების გამოცდილნი გამკეთებელნი და გადამკეთებელნი, რომელნიც ისე მოაწყობენ ღუმელს, რომ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირით ხურდებოდეს, რაიცა 45%-ს ეკონომიას იძლევა შეშასთან შედარებით. ვისაც უნდა ამისთანა ღუმელების გაკეთება ან გადაკეთება, მიჰმართოს საზოგადოება „ნახშირის“ გამგეობას. სოლოლაკის ქუჩა, № 16. ტელეფონი 16. (3—1)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ-შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

# ქაჯანა


# გამგეობა
ქონებათა ცეცხლისაგან დამზღვევის ტფილისის საურთიერთო
# საზოგადოებისა

პატივისცემით აუწყებს საზოგადოების ბ-ნთ წევრთ, რომ კვირას, ამა წლის თებერვლის 29, დილის 11 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია

**ს ა ზ ო გ ა დ ო კ რ ე ბ ა.**

განსახილველია და დასამტკიცებელი:

1) ანგარიში გამგეობისა 1903 წლისა.
2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1904 წლისათვის.
3) გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულ კრების დადგენილებანი იმის შესახებ, თუ სად და როგორ იყოს შენახული თანხა საზოგადოებისა

და 4) არჩევანი თანამდებობის კაცთა საზოგადოების საქმეთა განსაგებელად:

ა) გამგეობის ერთის წევრისა, პ. ი. ალიბეგოვის მაგიერ, რომელიც იყო თავმჯდომარედ გამგეობისა და რომელიც ვადის შესრულებამდის ანებებს თავს.

ბ) გამგეობის წევრების ერთის კანდიდატისა, ნ. ა. გრიქუროვის მაგიერ, რომელსაც აგრეთვე გაუვიდა ვადა კანდიდატობისა.

გ) ზედამხედველ კომიტეტის წევრთა ერთი კანდიდატისა, ი. ნ. მარკოზოვის მაგიერ, რომელიც რიგისამებრ თავს ანებებს სამსახურს.

დ) სარევიზიო კომისიის ორის წევრისა, გ. ი. თამამშევისა და კ. მ. გამაზოვის მაგიერ.

ვ) სარევიზიო კომისიის წევრთა ორის კანდიდატისა, თ. ვ. გ. ბებუთაშვილისა და ზ. დ. მამულოვის მაგიერ. ამასთანავე გამგეობა პატივისცემით აცნობებს ბ-ნთ წევრთ-დამზღვეველთ, რომ

1) იმათ, ვისაც არ შეუძლიან დაესწროს კრებას, ნება აქვთ თავიანთი ხმა გადასცენ ვექილობით მხოლოდ დამზღვეველთ და არა სხვას;

2) ხელის-მოწერა ვექილობის ქაღალდზედ უნდა შემოწმებული იყოს გამგეობის მიერ ან საზოგადო წესისამებრ;

3) მდედრობითის სქესის წევრთ შეუძლიანთ ვექილობა მისცენ თავიანთ მამებს, ქმრებს, შვილებს, სიძეებს და ღვიძლ ძმებს. იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც ყველა ესენი არ ირიცხებიან საზოგადოების წევრებად. ამავე საფუძვლით ირიცხება ვექილობა ჰქონდეთ მამათაგან განუყრელს მათს შვილებს

და 4) ვექილობანი უნდა წარედგინოს გამგეობას დილის 12 საათზედ არა უგვიანეს სიზოგადო კრების წინა დღისა. (2—1)